მონიტორინგისანგარიში №1

აუდიტის ანგარიშის №:	1
თარიღი:	02 ივნისი 2020 წელი
ორგანიზაციის დასახელება:	შპს "BLACK SEA SHIPPING REGISTER"
მონიტორინგის ჯგუფი:	დავითჯინჭარაძე, ირაკლისირაბიძე, მარიაპოლიაკოვა, ნინოასათიანი, ქრისტინა ახალაძე
აუდიტის მოცულობა:	საზღვაოკოდექსი, ხელშეკრულებ.

1. <u>შედეგები:</u>

რესერტიფიცირება:

1. ორგანიზაციას მოპოვებული აქვს TUV Thuringen e.V. Certification Body-ს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი N TIC 15 100 1810230. გაცემის თარიღად მითითებულია 05/09/2018, მომქედების ვადა - 2021 წლამდე. 2020 წლის საზედამხედველო აუდიტი არ ჩატარებულა დაგეგმილ ვადაში მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. თუმცა, მიმოწერა სასერტიფიკაციო ორგანიზაციასთან საზედამხედველო აუდიტის ვადების გადატანის შესახებ მიმოწერა არ იყო წარმოდგენილი. 2019 წლის საზედამხედველო აუდიტის ანგარიშის მოთხოვნისას გამოვლინდა, რომ ორგანიზაციას არ ჰქონდა ხელთ არსებული ანგარიში. აუდიტის მსვლელობისას მათი მხრიდან მოხდა ანგარიშის მოთხოვნა სასერტიფიკაციო ორგანიზაციისგან. წარმოდგენილ იქნა 2020 02 ივნისს გადმოგზავნილი 2019 წლის საზედამხედველო აუდიტის შედეგები. აუდიტის ანგარიშში ჩატარების თარიღად მითითებულია 16/04/2019, აუდიტის ანგარიშის მომზადების და წარდგენის თარიღებად მითითებულია 23/04/2019 და 24/06/2019წწ. აუდიტის მსვლელობისას დასტურის სახით წარმოდგენილ იქნა საგადახდო დავალებაც, რომელიც ადასტურებს საზედამხედველო აუდიტის ჩატარების ფაქტს. აუდიტის შედეგად დაფიქსირდა 2 გაუმჯობესების საკითხი, მაგ., შემუშავდეს ხელმეორე გემის შემოწმების ფორმა, შედეგების დასაფიქსირებლად. 2020 წლის ხელმძღვანელობის მხრიდან ანალიზის ოქმში N 02 შემომავალ მონაცემებში არ არის ნახსენები საზედამხედველო აუდიტის ჩატარების შედეგად გამოვლენილი გარემოებები.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

შიდა აუდიტორის კვალიფიკაცია:

2. აუდიტი ჩატარებულია ირაკლი წივწივაძის მიერ, რომელიც არ არის კომპანიის თანამშრომელი. არ არის აუტსორსად აყვანილი. არ არის წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულება ან /და შიდა აუდიტის ჩატარების მომსახურების ხელშეკრულება.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

შიდა აუდიტის გეგმა-გრაფიკი:

3. წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 13 იანვარს დამტკიცებული გეგმა-გრაფიკი. გეგმა-გრაფიკი არ არის აღრიცხული ხარისხის მოთხოვნების მიერ, როდესაც ხმს-ის შიდა აუდიტების მართვის პროცედურაში N Qu.PR-04, რომელიც დამტკიცებულია 12.02.2018 წელს, მე-10 პუნქტში „დანართები და ბმულები" მითითებულია Qu-F-007 - შიდა აუდიტის გეგმის ფორმა. ჩამოთვლილია სტრუქტურული ერთეულები და სტანდარტის პუნქტები. ასევე, წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 28 იანვარს, წარმოდგენილია აუდიტის ჩეკ-ლისტი ანგარიშები N 03/ N 04 / N05. აუდიტის ჩეკლისტში ასახული ინფორმაცია არ შეესაბამება აუდიტის გეგმა-გრაფიკს. წარმოდგენილი 2020 წლის აუდიტის ჩეკ-ლისტი ანგარიშები ვერ ადასტურებენ თემატიკის მიხედვით შემოწმებას.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

შიდა აუდიტის პერიოდულობა:

4. ორგანიზაციის ხმს-ის შიდა აუდიტების მართვის პროცედურაში N Qu.PR-04, რომელიც დამტკიცებულია 12.02.2018 წელს პროცედურის 7.1 პუნქტში წერია, რომ „შიდა აუდიტი და შემაჯამებელი მიმოხილვა უნდა ჩატარდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ". 2019 წელს შიდა აუდიტი არ ჩატარებულა. ხმს-ის შიდა აუდიტების მართვის პროცედურაში N Qu.PR-04, რომელიც დამტკიცებულია 12.02.2018 წელს. წარმოდგენილ Mn.F-011 „ხელმძღვანელობის მხრიდან ანალიზის ოქმში N02" – 31/01/2020 შემომავალ მონაცემებში არ ჩანს 2019 წლის შიდა აუდიტის არ ჩატარების დასაბუთება.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

რისკები:

5. ვერ წარმოადგინეს რისკების მატრიცა. ხელმძღავანელობის ანალიზის ოქმის დანართად წარმოდგენილია რისკების მატრიცა, თუმცა არ ჩანს თავად იდენტიფიცირებული რისკის შინაარსი. შესაბამისად, ვერ დგინდება რისკის რელევანტურობა ორგანიზაციის საქმიანობასთან.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

შემაჯამებელი მიმოხილვა:

6. 2018 წლის ხელმძღვანელობის მხრიდან ანალიზის ოქმი ვერ წარმოადინეს, როდესაც 2019 წლის საზედამხედველო აუდიტის ანგარიშში მითითებულია რომ „ხელმძღვანელობის ანალიზი ჩატარდა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში". აღნიშნული ჩანაწერის არ წარმოდგენა ეჭვქვეშ აგდებს სასერტიფიკაციო ორგანიზაციის მხრიდან ჩატარებული აუდიტის ვალიდურობას.
დაფიქსირდა შეუსაბამობა.

ინფორმაციის მიწოდება:

7. საქართველოს საზღვაო კოდექსის 44^{9} მუხლის შესაბამისად - სააგენტოში არ იყო წარმოდგენილი არც შიდა და არც გარე აუდიტის შედეგები.
დაფიქსირდა შეუსაბამობა.

აღიარებული ორგანიზაციის ვებ-გვერდი:

8. საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13} , მე-3 პუნქტის შესაბამისად აღიარებული ორგანიზაცია არ გააჩნია საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდის, ის ვალდებულია გამოაქვეყნოს საქართველოს გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინფორმაციას, გეგმური შემოწმების, რეკომენდაციების, გემისთვის გაცემული კლასის პირობებისა და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი, მისი კლასისთვის მიკუთვნებული გემების ექსპლუატაციის პირობებისა და ექსპლუატაციის შეზღუდვების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.
დაფიქსირდა შეუსაბამობა.

ინფორმაციის მიწოდება:

9. საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13} , მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაციას სააგენტოს აწვდის ყველა არსებითი ინფორმაციას საქართველოს გემებისთვის კლასის მინიწების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაქუმების შესახებ. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ელ-ფოსტის შესაბამისად, კლასში არსებული გემების გადაცემა სხვა კლასში არ მომხდარა, შეცვლა განხორციელდა კერძოდ, სხვა კლასიდან აღიარებულმა ორგანიზაციამ მიიღო მცურავი საშუალებები, აღიარებული ორგანიზაცია ვალდებული იყო სააგენტოზე მიეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია რომელიც არ განხორციელდა, კლასის მიერ მცურავი საშუალების შეჩერება არ მომხდარა, გაუქმება განხორციელდა თევზსაჭერი გემის „განთიადის" რომელიც 2019 წლის დეკემბრის თვეში ჩაიძირა, მაგრამ აღიარებული ორგანიზააცის სიაში ირიცხებოდა არ მომხდარა სიიდან ამოღება.
დაფიქსირდა შენიშვნა.

აღიარებულ ორგანიზაციებს შორის საარქივო ჩანაწერების მიწოდება:

10. საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13} , მე-6 პუნქტის შესაბამისად, მცურავი

საშუალების გადაცემის დროს გადამცემი აღიარებული ორგანიზაციას ვალდებულია მიმღებ აღიარებული ორგანიზაციას მიაწოდის/გადასცეს გემის სრულყოფილი საარქივო ჩანაწერები. თევზსაჭერი გემების გადაცემის დროს ერთი აღიარებული ორგანიზაციიდან მეორეში არ მომხდარა საარქივო ჩანაწერების გადაცემა არც მიმღებ აღიარებულ ორგანიზაციას არ მოუთხოვია საარქივო ჩანაწერები.

დაფიქსირდა შენიშვნა.

სააგენტოსთან თანამშრომლობა:

11. საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13}, პირველი პუნქტის შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაცია თანამშრომლობს სააგენტოსთან და გემების ინსპექტორებთან, რათა ხელი შეუწყოს მის კლასში არსებული გემებისთვის არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანობების აღმოფღვრასთან დაკავშირებით. სააგენტოს მიერ 2019 წლის 13 დეკემბერს № 04/3645 წერილის შესაბამისად, აღიარებულ ორგანიზაციას მოეთხოვა უმოკლეს დროში სააგენტოსთვის მიეოწოდებინა აღიარებული ორგანიზაციის განახლებული წესები და ინსტრუქციები თევზსაჭერი გემების დოკირებასთან დაკვშირებით, რაზეც პასუხი დღემდე არ მიგვიღია. აღიარებული ორგანიზაციას დაარღვია საზღვაო კოდექსის მუხლი 44^{13} პირველი პუნქტის მოთხოვნები.

დაფიქსირდა შეუსაბამობა.

სააგენტოს ცირკულარი № 19/CIRC/FSI:

12. აღიარებული ორგანიზაციიის დირექტორმა დაგვიდასტურა სააგენტოს მიმდინარე წლის 27 მაისის ცირკულარი№ 19/CIRC/FSI მიღება, მაგრამ დირექტორის და ორგანიზაციის თანამშრომლების ცირკულარის შინაარს ჯერ არ გაცნობილა.

ეძლევა რეკომენდაცია: სააგენტოს მიერ გამოცემული ცირკულარი დაუყონებლივ იქნეს გაცნობილი ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ.

მონაცემთა ბაზა:

13. შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა. არსებობს მონაცემთა ბაზა გემების კატეგორიების და წლების მიხედვით. მონაცემთა ბაზა ინახება პერსონალურ კომპიუტერში, ასევე იყენებენ yandex dick, რომელიც ონლაინ სერვერია დოკუმენტების შენახვისათვის.

ეძლევათ რეკომენდაცია - ჩანაწერი წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციამ გადაწყვიტოს უფრო მდგრად მატარებელზე ინფორმაციის გადატანა გრძელვადიანი შენახვის მიზნით.(მაგ. Hard drive).

სურვეერების პირადი საქმეები:

14. შემოწმებული იქნა სურვეერების ვაჟა გოგუაძის, ოლეგ უპენიკისა და სხვა თანამშრომლების პირადი საქმეები. შემოიწმების დროს დაფიქსირდა, რომ პირადი საქმეები არის მოუწესრუგებელი (ზოგიერთ საქმეში არ ინახება სერთიფიკატი ან/და დიპლომი, CV და სხვა) და ხელშეკრულებების მოქმედების თარიღები არის შეუსაბამო.
დაფიქსირდა შენიშვნა.

წინა მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შეუსრულებელი შეუსაბამობებისა და რეკომენდაციების ჩამონათვალი:

15. შეიქმნას კონტრაქტის ან/და მუშაობის შეკვეთის კონტროლის სისტემა/შემოწმების კითხვარი - 3.1.8
აუდიტის დროს კონტროლის სიტემის კითხვარის წარმოდგენა კომპანიამ ვერ შეძლო.

16. მოახდინონ საქართველოს შიგა წყლებში 12 საზღვაო მილის ფარგლებში მცურავი საშუალებების ტექნიკურ ზედამხედველობაზე შემოწმება დამოწმების ჩეკ-ლისტის განახლება დიზაინთან, კონსტრუქციასთან და გემების პერიოდულ შემოწმებასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება განახლებადი და გაუმჯობესებული.
აუდიტისთვის არ იყო გათვალისწინებული.

მცურავი საშუალების საქმეები:

17. აუდიტის დროს შემოწმებულ იქნა თევზაჭერი გემების საქმეები, კერძოდ, გემი „ფაზისი"-ს დოკუმენტები. შემოწმების დროს აღმოჩენილ იქნა, რომ გემის საქმეში არ დევს BSSR-ის მიერ გაცემული სერტიფიკატი.
დაფიქსირდაშენიშვნა.

რეესტრის წარმოება:

18. საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსის" 44^{13} მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღიარებული ორგანიზაცია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს საქართველოს გემებისთვის კლასის მინიჭების, გადაცემის, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინფორმაციას. შემოწმების დროს დადგინდა, რომ თევზსაჭერი გემი „განთიადი", რომელიც ჩაიძირა 2019 წლის 06 დეკემბერს ორგანიზაციის მიერ გაცემული სერტიფიკატების რეესტრში ისევ ასახულია და არ არის მითითებული გემის სერტიფიკატის მოქმედების გაუქმების შესახებ ინფორმაცია. ასევე, რეესტრი არ არის განთავსებული ორგანიზაციის ვებგვერდზე.
დაფიქსირდა შენიშვნა.

კონცენტრირებული შემოწმება:

19. თევზსაჭერი გემის "ILORI" კონცენტრირებული შემოწმების დროს, დროშის კონტროლის ინსპექტორის მიერ დაფიქსირებული 22 პუნქტიანი შეუსაბამობიდან (მთავარი გემბანისა და სატვირთო განყოფილებებს შორის კოროზია და სხვ.) ორგანიზაციას არც ერთ შეუსაბამობაზე არ მოუხდენია რეაგირება. ორგანიზაციას იგივე შენიშვნები აღნიშნულ გემთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებია და ამ საკითხზე შესაბამისი ზომები არ მიუღიათ.კონცენტრირებული შემოწმების დროს ჩატარებული მოქმედებები წარმოადგინეს თუმცა შევსებული არ არის, რაზეც მიუთითეს, რომ ვინაიდან, მათ შეჩერებული ჰქონდათ აღიარება არ მოხდა შესაბამისი ზომების მიღება. BSSR-ს აღიარება შეუჩერდა 2020 წლის 06 დეკემბრიდან 2020 წლის 06 მარტამდე, შესაბამისად, მათ შეუჩერდა უფლებამოსილება განეხორციელებია გემების საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ რეგისტრირება, ინსპექტირება, შემოწმება, შესაბამისი სერტიფიკატის გაცემა და ნებისმიერი სხვა ქმედებების განხორციელება სააგენტოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა შეზღუდვა არ გავრცელებულა 2019 წლის 06 დეკემბრამდე ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ რეგისტრირებული გემების მიმართ წარმოშობის სამართლებრივ ურთიერთობებზე. შესაბამისად ვალდებული იყვნენ გაეგრძელებიათ გემების შემოწმება.

დაფიქსირდა შენიშვნა.

საერთაშორისო კონვენცია Load line 1966 მოთხოვნები:

20. ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა PLIMSOLL MARK ფორმა და ინიციალების შესახებ ჩანაწერები ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში.

დაფიქსირდა შენიშვნა.

დოკირება და რემონტი:

21. მცურავი საშუალებები, რომლებიც იღებენ 5 წლიან საკლასო დოკუმენტაციას, მათი ყოველი დოკირებისა და კლასის რემონტის დროს უნდა ჩატარდეს გემის კორპუსისა და კონსტრუქციების სისქეების აზომვა. ცვეთა დასაშვებია 25-30% პირველადი სისქისა - გამოყენებული მცურავი საშუალების მშენებლობის დროს ან რემონტში შეცვლის შემდეგ. ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტის განხილვის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი ცვეთის პროცედურა. ორგანიზაციის წარმომადგენელს არ ახსოვს, აქვთ თუ არა მსგავსი პროცედურა გაწერილი.

ეძლევათ რეკომენდაცია - წარმოადგინონ განახლებული პროცედურა.

დოკირება და რემონტი:

22. მცურავის საშუალებას სარემონტო სამუშაოების დროს, როგორც მცურავ დოკში და ასევე რემონტში, ორგანიზაცის მიერ არ არის გაწერილის შემდუღებლის პროცედურა, თუ ვის უნდა ჩაატაროს შედურების ოპერაციები.

ეძლევათ რეკომენდაცია - წარმოადგინონ განახლებული პროცედურა.

ტექნიკურის ზედამხედველობის დოკუმენტი:

23. ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში არ არის აღნიშნული თუ რა ტიპის სერტიფიკატებს გასცემეს ორგანიზაცია მცურავი საშუალებბების ტიპის/ტონაჟის მიხედევით.

ეძლევათ რეკომენდაცია - აღნიშნულის შესახებ უნდა გაიწეროს პროცედურებში.

ლიალური წყლების სისტემა:

24. ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში ლიალური წყლების სისტემების შემოწმების და ფუნქციონირების პროცედურა არ არის გაწერილი.

ეძლევათ რეკომენდაცია - აღნიშნულის შესახებ უნდა გაიწეროს პროცედურებში.

2. დასკვნა

2020 წლის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ აღიარებულ ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა ითხოვს საფუძვლიან გადახედვას და სასწრაფო წესით განახლებას და ამავდროულად აღიარებული ორგანიზაციის პერსონალს გასავლელი აქვს ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით ტრეინინგები, რადგან სისტემაში გათვითცნობიერების შემდგომ შეძლებენ მართონ მათი ორგანიზაციაში არსებული სისტემა ეფექტურათ და პროდუქტიულად.

მონიტორინგის დროს ასევე გამოიკვეთა საქართველოს საზღვაო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, რაც პირდაპირ კავშირშია აღიარებული ორგანიზაციის საქმიანობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა დაფიქსირებული შენიშვნა თუ შეუსაბამობა ატარებს კრიტიკულ ხასიათს და აღიარებულ ორგანიზაციას ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩაბარებიდან ეძლევა 1 თვის ვადა ყველა გარემოების აღმოფხვრისთვის, ასევე ამ პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციას ეკრძალება გემების საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ აყვანა. აღმოფხვრის შედეგები გადამოწმდება ადგილზე და მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ორგანიზაციის აღიარების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. დამატებითი მოთხოვნები

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე _____

ირაკლი სირაბიძე _____

მარია პოლიაკოვა _____

ნინო ასათიანი _____

ქრისტინა ახალაძე _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 07.07.2020

საკლასიფიკაციო ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):